ხელშეკრულება № 109
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ .გორი **12 აგვისტო 2019 წელი**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ (ს/კ 417874973) (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი დირექტორის გია ისიანის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ. „ნოდარი თომაშვილი“ (ს/კ 18001052927) წარმოდგენილი მისი მინდობილი პირი იზოლდა ბარბაქაძის (პ.ნ. 18001042343) სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურების (CPV55330000) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტია

2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს გუნდის 20 კაციანი შემადგენლობის კვებითი მომსახურება (ერთჯერადი კვება). კვება გუნდის ექიმის მიერ წინასწარ შედგენილი მენიუს მიხედვით.

2.2. ერთ კაცზე ერთი დღის კვებითი მომსახურებია განისაზღვრება 20.00 (ოცი) ლარით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება ლარებში.

3.2. გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა 400.00 ლარი. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადისა და მომსახურებოს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თნმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა შესმყიდველი ორგანიზაციისათვის (საგადახდო ანგარიშფაქტურა).

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.ზესტაფონი, თამარ-მეფის ქ. 84

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7. ანგარიშსწორების ფორმა,გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარში).

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუიმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი, გურამიშვილის 5.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1.. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

-მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებობის შესაბამისად;

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგო გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთნაბრდება გაფრთხილება;

9.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს შესაბამისი კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშკერულების საერთო ღირებულების 0,02%-ს ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

11. ხელშერულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პიროებების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეუწყვიტონ ხელშკერულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება. ხელშეკრულების ინსპექტირებას და საქონლის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორცელებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს შესყიდვების სპეციალისტი ავთანდილ ლობჟანიძე. ინსპექტირების მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნების მიზეზების მითითებით;
14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ..
15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თნხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ. .

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 417874973 მის: ქ. გორი, გურამიშვილის ქუჩა №5 ტელ: 0(370) 27 02 01; საბანკო რეკვიზიტები: ბანკის სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22 ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი გორი“-ს დირექტორი **გია ისიანი** Gia Isiani Digitally signed by Gia Isiani Date: 2019.08.12 11:43:45 +04'00'	ინდ.მეწარმე „ნოდარი თომაშვილი“ საიდენტიფიკაციო კოდი: 18001052927 მის: ქ. ზესტაფონი, თამარ მეფის ქ.№84 ტელ: 593 42 02 83 ბანკი: „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგ. № GE83BG0000000101041500 მინდობილი პირი **იზოლდა ბარბაქაძე**